ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 2926118001**
თარიღი:**28/04/2026**

**თერჯოლის მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიების ფარგლებში საპროექტო წინადადების მოწონებისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 02 მარტის №96 დადგენილებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 24 აპრილის №28-282611413 წერილის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.** მოწონებულ და დამტკიცებულ იქნეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში სტიქიის საპრევენციო ღონისძიების ფარგლებში საპროექტო წინადადება და სამოქმედო გეგმა დანართი №1-ის მიხედვით.

**მუხლი 2.** საპროექტო წინადადება წარედგინოს საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროს, დადგენილი წესით.

**მუხლი 3.** განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

სოსო ჩაფიჩაძე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM